ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31241453**
თარიღი: **24/05/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარის გიორგი ხელაძის

მოხსენებითი ბარათი

გიგზავნით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განკარგულების პროექტს.

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ საქართველოს კანონის, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათს:

1. ზოგადი ინფორმაცია განკარგულების შესახებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდის შესახებ“
   ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნების 5%-ს, მაგრამ ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2024 წლის 1 ივნისიდან, ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. აღნიშნულიდან გამომდინარე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჩვენს შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთან დაცვის ოფიცერი აყვანილ იქნას შრომითი ხელშეკრულებით.

2. განკარგულების ფინანსური დასაბუთება

ა) განკარგულების მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის გიორგი ხელაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. პატივისცემით,

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2024 წლის მაისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ საქართველოს კანონის, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. გაიზარდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება ერთი ერთეულით, (რომელშიც იგულისხმება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**